ქ. თბილისი, ახვლედიანის ქუჩა №8-ში , 4/1 სარეკონსტრუქციო შენობის, (ს/კ: 01. 19. 16. 001. 036) კონსტრუქციული დასკვნა

საექსპერტო დასკვნა

კონსტრუქციული ნაწილი

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისი, ახვლედიანის ქუჩა №8-ში, 4/1 სარეკონსტრუქციო შენობის, (ს/კ: 01. 19. 16. 001. 036) კონსტრუქციული დასკვნა.

საინჟინრო გეოლოგიური პირობების მიხედვით, საძირკვლის ფუძედ მიღებულია თიხნარი, მოყვითალო და მოყავისფრო, ქვიშნარებისა და კენჭნარების ჩანართებით, პირობითი საანგარიშო წინააღმდეგობის ზღვარი კუმშვაზე, R_0 = 2,17 კგძ/სმ^2. გრუნტის სხვა ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები იხილეთ პროექტის გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით, სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიან სეისმური აქტივობის ზონაში. ქარის დაწნევის ნორმატიული მნიშვნელობაა-55 კგძ/მ^2; თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგძ/მ^2.

ადგილზე ვიზუალური დათვალიერება - გამოკვლევამ გვიჩვენა, ერთსართულიანი სარეკონსტრუქციო შენობა საბჭოურ დროს არის აგებული, რომელიც წარმოადგენს მსხვილბლოკოვან ასაწყობ კონსტრუქციას. მოუვლელობის გამო სახურავზე ამოსულია ველური სარეველა მცენარეები. ლითონის ბოძს მოდებული აქვს ჟანგი და განაგრძობს კოროზიას. ნაგებობის ძირი (იატაკი) გასაწმენდია სამშენებლო ნარჩენებისაგან **(სურ. №1; სურ. №2. და სურ. №3.).**



სურ. №1.



სურ. №2.



სურ. №3.

ვიზუალური დათვალიერების შედეგად ექსპერტს აქვს შემდეგი **დასკვნები და რეკომენდაციები;**

1. სარეკონსტრუქციო შენობის, ერთსართულიანი ასაწყობი მსხვილბლოკოვანი ნაგებობის საძირკველზე, კედლებზე და სარტყელზე არ შეიმჩნევა ჯდენითი და რღვევითი ბზარები. კონსტრუქციულად კარგ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებით დეტალურ კვლევას.
2. შესაძლებელია სახურავის სიმკარების მოხსნა და მეორე სართულის მსუბუქი კონსტრუქციების (ლითონის კონსტრუქციების) მოწყობა.

3. ლითონის ბოძი გაიწმინდოს ჟანგისაგან და წაესვას ანტიკოროზიული საღებავი, ორჯერადი წასმით.
4. სარეკონსტრუქციო შენობაზე, მეორე სართული მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციებით (ლითონის კონსტრუქციებით).
5. რელიეფიდან გამომდინარე სარეკონსტრუქციო შენობის საძირკვლები განლაგებულია ერთ დონეზე.

ამ დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით შეგვიძლია **დავასკვნათ,**

დასკვნა, ამრიგად, ქ. თბილისი, ახვლედიანის ქუჩა №8-ში, 4/1 სარეკონსტრუქციო შენობის, (ს/კ: 01. 19. 16. 001. 036) რეკონსტრუქცია შესაძლებელია, მეორე სართულის მოწყობით მსუბუქი კონსტრუქციები, რეკონსტრუქციულ შენობის კონსტრუქციულ მდგრადობაზე ზეგავლენას არ მოახდენს, პროექტირებასა და მშენებლობის შემდგომი ეტაპის გაგრძელებას ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი,
ინჟინერ -კონსტრუქტორი
მობ. 599 34 43 58

გ. სხილაძე

25/12/2020